ნინო ჩიქოვანი

ტრავმული მემკვიდრეობა და მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში

ნაშრომში განხილულია საბჭოთა მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების პრობლემა და „ახალი მეხსიერების“ ჩამოყალიბების გზაზე გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი დამოუკიდებელ საქართველოში. კოლექტიური მეხსიერებისა (პიერ ნორა, იან ასმანი) და კულტურული ტრავმის (ჯეფრი ალექსანდერი, პიოტრ შტომპკა) კონცეფციების თეორიულ ჩარჩოში, პიერ ნორას მიერ შემოთავაზებული „მეხსიერების არეების“ ცნების გამოყენებით, ნაშრომში შესწავლილია „ახალი წარსულის“ შექმნის მცდელობები და ამისთვის გამოყენებული ზოგიერთი ხერხი.

კოლექტიურ ანუ კულტურულ ტრავმად მიიჩნევა სოციალური გარემოს უეცარი და მკვეთრი ცვლილება, რომელიც სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპებს ცვლის;ეს არღვევს ადამიანთა შორის არსებულ კავშირებს და ასუსტებს სოციალურ ერთობას.როგორც ჯეფრი ალექსანდერი აღნიშნავს, კოლექტიური ტრავმა იგივე კულტურული ტრავმაა, რადგან ტრავმული ცვლილება ყველაზე მძაფრად სწორედ კულტურას ეხება: იგი გავლენას ახდენს არა მხოლოდ სოციალურ წესრიგზე, არამედ აგრეთვე ფასეულობებზე, რწმენაზე, სიმბოლოებზე, ნორმებზე, კანონებზე, ტრადიციებზე, რაც განაპირობებს მემკვიდრეობითობას და საფუძვლად უდევს იდენტობას (Alexander, 2012).

როგორც ცნობილია, მორის ჰალბვაქსიდან მოყოლებული, მეხსიერება სოციალური კონსტრუქციად მიიჩნევა; ინდივიდის მეხსიერება ყალიბდება არა დამოუკიდებლად, არამედ კონკრეტული სოციალური ჯგუფის ფარგლებში. ინდივიდი აღიქვამს, გაიაზრებს და, შესაბამისად, იმახსოვრებს მოვლენებს „მისი“ სოციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრული საშუალებებით (Halbwachs, 1992: 53). სწორედ სოციალური ჯგუფები (ოჯახი, კლასი, რელიგიური ერთობა, ერი...) ადგენენ, თუ რა არის “დასამახსოვრებელი” და „დასავიწყებელი“, აგრეთვე იმასაც, თუ როგორ უნდა იქნას რაღაც დამახსოვრებული.

მეხსიერების პოლიტიკა გულისხმობს იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ერთობის მეხსიერების ფორმირებისა თუ რეკონსტრუქციისთვის. მეხსიერების ჩამოყალიბებაში შეიძლება

განვასხვაოთ ორი ურთიერთშემხვედრი მიმართულება: 1) პოლიტიკური და კულტურული ელიტების მცდელობა განსაზღვრონ, რა და როგორ უნდა ახსოვდეთ საზოგადოების წევრებს (სწორედ ამას ვუწოდებთ მეხსიერების პოლიტიკას) და 2) ამ მცდელობის აღქმა და მასზე რეაქცია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან, რომელთა მეხსიერების ფორმირებისკენ არის მიმართული ელიტების ძალისხმევა. ამ შემთხვევაში ჩვენ პირველ მიმართულებას განვიხილავთ.

ერიკ ფონერის სიტყვით, მკვეთრი ცვლილებებისა და ახალ სისტემაზე გარდამავალ პერიოდებში „ახალი მომავალი მოითხოვს ახალ წარსულს“ (Foner, 2002: 77). 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში სწორედ ასეთი პერიოდი დაიწყო. „პერესტროიკის“ პერიოდში თანდათან ნათელი გახდა, რომ საბჭოთა პერიოდის განმავლობაში შექმნილი წარსულის სურათი, რომლის მიზანი საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების საერთო სამომავლო გზის ლეგიტიმაცია იყო, არ შეესაბამებოდა ახალ მიზანს - დამოუკიდებლობის მიღწევას - და ახალ მომავალს, რომელიც მას უნდა მოჰყოლოდა. ამ დროიდან დაიწყო მეხსიერების რეორგანიზაცია და რეკონსტრუქცია.

პერესტროიკის დასაწყისს დაემთხვა ლექსის გამოქვეყნება, რომელიც, ბედის ირონიით, ოქტომბრის რევოლუციის მოახლოებულ 70 წლისთავისადმი მიძღვნილ პოეტურ კრებულში მოხვდა (პოეტის ათასი სტრიქონი, 1985).ეს იყო კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი 1921 წ.“, რომელიც 1969 წელსაა დაწერილი და, ცხადია, მანამდე არასდროს გამოქვეყნებულა. მართალია, ლექსის დაბეჭდვას გამომცემლობის მთელი ხელმძღვანელი პირებისა და წიგნის სარედაქციო ჯგუფის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა, ისევე როგორც მწერალთა კავშირის ყრილობაზე პოეტის დაგმობა და გაკიცხვა, მაგრამ ლექსმა სერიოზული ბიძგის როლი შეასრულასაბჭოთა წარსულის ჩვეული სურათის გადახედვის გზაზე.

1988 წლიდან საქართველოში მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღა დაიწყო,რომლებზეც გამოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკა, ტრანსპარანტები წარწერებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“(ჯონსი, 2013: 42).აკრძალული და თითქოს დავიწყებული სახელები, ფაქტები და მოვლენები ჯერ *კომუნიკაციური მეხსიერების* მეშვეობით ცოცხლდებოდა, შემდეგ კი თანდათან *კულტურულ მეხსიერებაში*

ინაცვლებდა ტექსტების, მემორიალების, აღნიშვნების, რიტუალების და სხვა მეხსიერების ადგილების სახით. 25 თებერვალი - საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე, რომელიც საბჭოთა პერიოდში შექმნილი *პროგრესის ნარატივის* უმთავრესი მომენტი იყო, სწრაფად იცვლიდა მნიშვნელობას. 1988 წლის 26 მაისს სტუდენტებმა მიტინგით აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 70 წლისთავი (ეს თარიღი უკანასკნელად 1926 წელს აღინიშნა, რის შემდეგ იგი საბჭოთა ხელისუფლებამ აკრძალა) (მჭედლიძე, 1999: 130).სადღესასწაულოდ გამოფენილი საბჭოთა საქართველოს დროშებს ახალგაზრდები ხსნიდნენ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროშებით ანაცვლებდნენ. ათწლეულების განმავლობაში აკრძალული ეს დროშა სწრაფად ამოტივტივდა ტრავმული მეხსიერებიდან და ამიერიდან ყველა საპროტესტო აქციაზე ფრიალებდა. ამავე წლის ნოემბერში თბილისში, მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე საპროტესტო შიმშილობის დროს, რომელშიც 200 კაცი მონაწილეობდა, სრულიად წარმოუდგენელი ფაქტი მოხდა: ერთ-ერთმა პროტესტანტმა მთავრობის სასახლის შენობის თავზე მოფრიალე საქართველოს სსრ დროშა ჩამოაგდო.1989 წლის 25 თებერვალს, პირველად საბჭოთა ისტორიაში, თბილისის ქუჩებში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები და მრავალათასიანი მიტინგები მოეწყო, სადაც აპროტესტებდნენ საბჭოთა არმიის შემოჭრას საქართველოში 1921 წელს და ქვეყნის ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ(მჭედლიძე, 1999: 130). ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და ამ ტექსტზე რევაზ ლაღიძის მიერ 1970-იან წლებში დაწერილი სიმღერა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის საპირისპიროდ ჟღერდა ყველა მიტინგზე, დემონსტრაციასა თუ სხვა აქციაზე.

ხელისუფლება ცდილობდა დათმობისა და რეპრესიების პოლიტიკის მეშვეობით პროცესებზე კონტროლის შენარჩუნებას. ერთი მხრივ, მიტინგებისა და დემონსტრაციების შეზღუდვა-აკრძალვასთან ერთად, მეორე მხრივ, ოფიციალურ მედიაში დაშვებულ იქნა ტაბუირებული თემები - საბჭოთა წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში 1921 წელს, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყება, 1930-იანი წლების რეპრესიები. უფრო მეტიც - 1989 წლის იანვარში მთავრობამ შექმნა 1930-40-

იან წლებში რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის კომისია (ჯონსი, 2013: 44). 1990 წელს მთავრობამ 26 მაისი სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა(მჭედლიძე, 1999: 188).

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდსა და დამოუკიდებლობის პირველ წლებში ტრავმული მეხსიერების დაძლევისა და მომავლისკენ მომართული ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესი მკაფიოდ გამოიხატა *აქტიური დავიწყების* ფორმით, რომელსაც პ. ნორა *წარსულთან ანგარიშსწორებას* უწოდებს.ადგილი, სადაც ტრავმულმა მეხსიერებამ წარსულთან ანგარიშსწორების ყველაზე უჩვეულო და გამონაკლისის სახით გამოვლენილი ფორმით იჩინა თავი, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი იყო, რომელიც მეხსიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არეა საქართველოში. ჯერ კიდევ 1987 წელს, როცა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავიაღინიშნებოდა, ააფეთქეს ფილიპე მახარაძის საფლავი მთაწმინდაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ამჯობინა, ფაქტი არ გაეხმაურებინა და საფლავი სწრაფად აღადგინა, თუმცა მოგვიანებით, 1989 წლის ბოლოს, ფილიპე მახარაძისა და კიდევ ორი ბოლშევიკი ლიდერის - სილიბისტრო თოდრიასა და მიხა ცხაკაიას - ნეშტები ჯერ ხუდადოვის პარკში, რევოლუციონერთა საძმო სასაფლაოზე, შემდეგ კი საგვარეულო სასაფლაოებზე გადაასვენეს.[1] იმავე წელს მთაწმინდის პანთეონში დაიკრძალა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მერაბ კოსტავა. ეს იყო ახალი მომავლისკენ მიმართული ახალი მეხსიერების ადგილის შექმნის პირველი შემთხვევა.

1989-1990 წლებში ფართო ხასიათი მიიღო ტოპონიმების ცვლილებამ. ტოპონიმები სიმბოლური მონუმენტებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ხალხის მეხსიერებაზე. სახელის შეცვლა ასახავს წარსულსა და აწმყოს შორის ახალი კავშირის დამყარების მცდელობას. მაგალითად, ტოპონიმები იცვლება ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალური ისტორიის წინ წამოწევის მიზნით. ტოპონიმები წარმოადგენს აწმყოში წარსულის „დამკვიდრების“, ისტორიული მნიშვნელობების ლეგიტიმაციის იდეოლოგიურად განსაზღვრულ პროცესს.სახელები არა მხოლოდ არტეფაქტებია, არამედ წარსულის ამა თუ იმ იდეოლოგიური ხედვის საფუძველზე ლანდშაფტის კონსტრუირების აქტიური და წინააღმდეგობრივი პროცესის ნაწილიც (Alderman, 2008: 195).

[1]გაზეთი „24 საათი“, 10 თებერვალი, 2014,http://24saati.ge/index.php/category/news/2010-04-18/5555.html

დასახელებულ პერიოდში სახელები გადაერქვა - ისტორიული სახელები დაუბრუნდა ან ცნობილი ქართველი მოღვაწეების თუ ისტორიული ფიგურების სახელი მიენიჭა - საქართველოს ქალაქებს, რაიონულ ცენტრებს, სოფლებს, ქუჩებს, მოედნებს, მეტროს სადგურებს, რომლებიც რევოლუციონერთა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა სახელებს ატარებდნენ. ეს პროცესი სრულად შეესაბამება ისტორიული უწყვეტობის, განგრძობადობისა და მემკვიდრეობითობის შენარჩუნების ცნობილ პრაქტიკას, რომელსაც ე. ზერუბაველი „დისკურსულ უწყვეტობას“ უწოდებს და რომელიც აწმყოსა და წარსულს შორის მენტალური ხიდის გადების ფორმით ხდება (Zerubavel, 2003: 52).

იგივე პროცესის გამოვლინება გახლდათ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის მოღვაწეთა ძეგლებისა და იმ მონუმენტების დემონტაჟი, რომლებიც საბჭოთა სისტემის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ.მონუმენტების დემონტაჟის, კვლავ დაბრუნების, ახალი ძეგლებით მათი ჩანაცვლების ან ძველებისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭების პროცესი ზოგჯერ „ძეგლების ომის“ სახით წარმოგვიდგება.მონუმენტები მეხსიერების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილებია, რომლებიც გადასცემენ ისტორიულ მეხსიერებას და ასახავენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს პასუხებს არსებულ გამოწვევებზე. დებატები, რომლებიც წინ უძღვის და ახლავს მონუმენტების ინაუგურაციას, წარმოადგენს ისტორიულ წყაროს, რომელიც ასახავს, თუ როგორია ისტორიული მედიუმის კონცეფცია და როგორ კონსტრუირდება იგი მონუმენტის შექმნის დროს.მონუმენტი წარმოადგენს ამა თუ იმ ფაქტის/მოვლენის კოდირებულ ისტორიულ ინტერპრეტაციას; იგი ისტორიის ესთეტიკური და, ამავე დროს, რიტუალური მედიუმია. მონუმენტი ქმნის არეს ხსოვნის ცერემონიებისთვის; მეხსიერების რიტუალიზაცია განმეორებადი რეპრეზენტაციით - ინაუგურაციით, ყოველწლიური ცერემონიებით, ფოტო და ტექსტური ნარატივებით - ემსახურება წარსულის შენახვას აწმყოში(Carrier, 2000:15).

საბჭოთა მოღვაწეთა ძეგლების ნაწილის დემონტაჟი საჯაროდ და, ზოგჯერ, ზარ-ზეიმით ხდებოდა, ზოგი კი უჩუმრად და უხმაურო „ქრებოდა“ საზოგადოებრივი სივრციდან. პირველის ყველაზე ნიშანდობლივი მაგალითებისსახით შეიძლება დავასახელოთ ლენინის ძეგლის დემონტაჟი

თბილისში 1990 წლის 29 აგვისტოს, რასაც ახლდა ამ აქტის ლეგიტიმაციის უაღრესად საინტერესო მცდელობა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარის მხრიდან, რომელიც ადასტურებს კომუნისტური ხელისუფლების მცდელობას, ხელიდან არ გაეშვა მეხსიერების ფორმირების სადავეები; აგრეთვე კომპოზიციის „შრომა, მეცნიერება, ტექნიკა“ აღება მთავრობის სასახლის წინა სივრციდან (კვლავ ხელისუფლების ინიციატივით). წარსულთან ანგარიშსწორების ყველაზე მკაფიო მაგალითებად კი წარმოგვიდგება სერგო ორჯონიკიძის ძეგლის ისტორია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის ბედი, რომელმაც, ზემოთ დასახელებული მონუმენტებისგან განსხვავებით, კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძეგლი შეიწირა.

1990-იანი წლებში ახალმა ტრავმულმა მოვლენებმა - ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა, სამოქალაქო ომმა და, რაც მთავარია, კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომელსაც დევნილთა რამდენიმე ტალღა მოჰყვა, შექმნა რეალობა, რომელსაც, პიოტრ შტომპკას თუ დავესესხებით, „გამარჯვების ტრავმა“ შეიძლება ვუწოდოთ (Sztompka, 2004). მეხსიერების მართვისა და ახალი მეხსიერების ფორმირების საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია. დაახლოებით 10-12 წელი დასჭირდა ამ ტრავმისა და მასთან გამკლავების ხერხების გააზრებას, რის შემდეგ ძირითადი აქცენტი აქტიურიდან პასიურ დავიწყებაზე, წარსულთან ანგარიშსწორებიდან მეხსიერების ახალი ადგილების შექმნაზე გადავიდა. პასიური დავიწყება გულისხმობს არამიზანმიმართულ აქტებს, რომლის დროს ობიექტები მატერიალურად არ ნადგურდება, ისინი ყურადღების მიღმა რჩება, კარგავს მნიშვნელობას და გამოყენებას. რაც დაიკარგა, მაგრამ მატერიალურად არ განადგურებულა, შეიძლება მოგვიანებით ხელახლა იყოს აღმოჩენილი (Assmann A., 2010: 98).თუმცაწარსულთან ანგარიშსწორების, როგორც მეხსიერების ფორმირების ხერხის სრული უარყოფა არ მომხდარა: ამის დადასტურებაა, მაგალითად, მემედ აბაშიძის ძეგლის ისტორია ბათუმში, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მემორიალის ბედი ქუთაისში და ზოგი სხვა მაგალითი.

მთაწმინდის პანთეონი კვლავ რჩება ახალი მეხსიერების ფორმირების მნიშვნელოვან ადგილად. 2005 წელს ლევილიდან (საფრანგეთი) მთაწმინდაზე

გადაასვენეს 1924 წლის აჯანყების გმირი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. იმავე წელს იქვე დაიკრძალა დიდუბის პანთეონიდან გადასვენებული ექვთიმე თაყაიშვილი. 2007 წელს მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს გროზნოდან გადმოსვენებული ზვიად გამსახურდია.

2005 წლიდან დაიწყო ახალი მონუმენტების, მუზეუმების, მემორიალების შექმნა, რომელთაც ახალი კოლექტიური მეხსიერებისა და, მის საფუძველზე, ახალი სახელმწიფოებრივი იდენტობის ჩამოყალიბების ფუნქცია ეკისრებოდა. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ისინი საზეიმოდ იხსნებოდა რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის წლისთავზე. ეს პრაქტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დამკვიდრდა და არსებობას შემდგომშიც განაგრძობდა (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 1991 წლის 9 აპრილს; პირველი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება იმავე წლის 26 მაისს). 2005 წლის 23 ნოემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი, ხოლო 2006 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა თავისუფლების მონუმენტი - წმინდა გიორგის ქანდაკება, რაც საგანგებოდ დაემთხვა გიორგობის დღესასწაულსა და ვარდების რევოლუციის მესამე წლისთავს.2006 წლის 26 მაისს თბილისში დაფუძნდა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი. მეხსიერების კვლევებში კარგად არის ცნობილი ისტორიული უწყვეტობის შენარჩუნების ეს საშუალება, რომელსაც ე. ზერუბაველი „იგივე დროს“ უწოდებს, რაც აწმყოსა და წარსულს შორის ხიდის გადების ერთ-ერთი ხერხია: დღესასწაულებთან ისტორიული მოვლენების სინქრონიზაცია „ახლა“-სა და „მაშინ“-ს შორის სიმბოლური კავშირის გაბმას ემსახურება.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა სათავე დაუდო ახალი ტიპის მონუმენტური არეების შექმნას. ახალი მონუმენტები და მემორიალები ომის მსხვერპლთა და სამშობლოსთვის შეწირულთა უკვდავყოფას, აგრეთვე კულტურული ტრავმის გამო გამოწვევის წინაშე მდგარი სახელმწიფო/სამოქალაქო იდენტობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.2009 წლის 26 მაისსგაიხსნა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო და მემორიალი. იმავე წელს გაჩნდა იდეა, რომ აგვისტოს ომში დაღუპულთათვის სხვა მემორიალიც უნდა შექმნილიყო: უფრო მასშტაბური, ისეთი, რომელიც გამვლელებს მუდმივად შეახსენებდა გმირობის

ამბავს. თავდაპირველი ჩანაფიქრით, მემორიალი მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს უნდა მიძღვნოდა, თუმცა შემდეგ კონცეფცია განზოგადდა და მემორიალი რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლებს მიეძღვნა. გმირთა მოედანზე აღმართულ გმირთა მემორიალზე, რომელიც 2010 წლის 26 მაისს გაიხსნა, დატანილია 1921 წელს დაღუპული იუნკრების, 1924 წლის აჯანყების მონაწილეების, 1992-93 წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაღუპულთა, 2008 წლის აგვისტოს ომს შეწირულთა სახელები და გვარები. შენარჩუნდა ამავე მოედანზე არსებული ძველი მემორიალიც „ერთიანი საქართველოსათვის“. ამგვარად, ერთგვარი „ხიდი გაიდო“ საქართველოს 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციას, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1990-იანი წლების კონფლიქტებს და 2008 წლის აგვისტოს ომს შორის. როგორც მუხათგვერდის, ასევე გმირთა მოედნის მემორიალებისგახსნისას ოფიციალურ პირთა მიერ წარმოთქმული სიტყვები ნათლად წარმოაჩენს, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია „ჩვენ“ ჯგუფის იდენტობის გამძაფრება იყო.

2008 წლის ომის ტრავმული მეხსიერების სპეციფიკურ ადგილად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ამ ომის შედეგად დევნილთა დასახლებები, რომელთა დაგეგმვა და მშენებლობა მიზანმიმართულად, წარსულის გამოცდილების გააზრებით ხდებოდა. ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც კოლექტიური ტრავმის დაძლევის საშუალება: ეს არის კომპაქტური დასახლებები, სადაც დაზარალებულები ერთად დააბინავეს - ტრავმული გამოცდილების კოლექტიურად დაძლევა შედარებით იოლია; ისინი აშენდა დაკარგულ საცხოვრისთან ახლოს, რაც დაბრუნების იმედს აძლიერებს; სახლებიერთნაირია, ღია ფერად შეღებილი - ყველა ერთნაირ მდგომარეობაშია, განწყობა - ნათელი და იმედიანი; დასახლებები გზასთან ახლოს შეიქმნა - 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების ცოცხალი და ყველასთვის თვალსაჩინო მაგალითი.

ახალი მეხსიერების შექმნის კიდევ ერთი საინტერესო მცდელობა იყო კომპიუტერული თამაში „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, რომელიც 2012 წელს გამოჩნდა ინტერნეტ სივრცეში.[2] თამაშის ღერძს შეადგენს საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა. დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი წარმოგვიდგება

[2] https://www.myvideo.ge/v/1562777 (ხელმისაწვდომი იყო 17.10.2018)

მხედრის სახით, ფონზე მოჩანს სამხედრო ტექნიკა საბჭოთა სიმბოლიკით, რომელშიც ნათლად ჩანს 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძახილი. ტექსტი გვამცნობს, როგორც აცილებდნენ თბილისელები კადეტებს ქალაქის დასაცავად 1921 წლის 17 თებერვალს; მათი წინააღმდეგობის გატეხვა ვერ შეძლო მე-11 წითელმა არმიამ, მიუხედავად ბაქოდან მიღებული დახმარებისა და ბორის ძნელაძის მიერ ორგანიზებული მხარდაჭერისა. თამაშის ფინალურ სცენაში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ზის მაგიდასთან, რომელსაც აწერია *საქართველო;* ფონზე ეიფელის კოშკი მოჩანს, კედელზე კი სერგო ორჯონიკიძის პორტრეტია, ეშმაკის წითელი რქებითა და წვერით. თამაშს გასდევს ორი მელოდია: „არ დაიჯერებ“ დები იშხნელების შესრულებით და რევაზ ლაღიძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა წარსულის ტრავმული მეხსიერების დაძლევისა და ახალი მეხსიერების ფორმირებისათვის საქართველოში გამოიყენებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილებაში არსებული და სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი ხერხები.აღნიშნული პროცესი ორ ძირითად საფეხურს მოიცავს, რომელთა შორის მკაფიო მიჯნა ძნელი განსასაზღვრია. პირველ ეტაპზე, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებიდან იწყება, ტრავმული მეხსიერებისდაძლევა და ახალი მომავლისაკენ მიმართული მეხსიერების ფორმირება, უმთავრესად, წარსულის აქტიური დავიწყებისა და მასთან ანგარიშსწორების ფორმით მიმდინარეობდა. შემდეგაქცენტმა პასიურ დავიწყებასა და ახალი მეხსიერების ადგილების შექმნაზე გადაინაცვლა, მაგრამ არც პირველი ფორმა ყოფილა მთლიანად გამორიცხული და იგი მეორე საფეხურზეც აქა-იქ კვლავ იჩენდა თავს. დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული ერთგვარ შუალედურ საფეხურად იქცა ტრავმული მეხსიერების დაძლევისა და ახალი მეხსიერების ჩამოყალიბების გზაზე, რადგან ძველ ტრავმულ გამოცდილებას ახალი - ე.წ. გამარჯვების ტრავმა - დაემატა და მის გააზრებას დაახლოებით ათწლეული დაჭირდა. საქართველოში არც შემდგომ პერიოდს ჩაუვლია ტრავმული მოვლენის გარეშე; ახალ გამოწვევაზე პასუხის სახით, გაჩნდა მეხსიერების ფორმირების ახალი ხერხებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მჭედლიძე გიორგი, „ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)“, ქუთაისი, 1999.
2. „პოეტის ათასი სტრიქონი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1985.
3. ჯონსი სტივენ, „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, სოც. მეცნ. ცენტრი, თბილისი, 2013.
4. Alderman Derek H., „Place, Naming, and the Interpretation of Cultural Landscapes“. The Ashgate Research Companion to Heritage and Identity. Ed. by Brian Graham, Peter Howard, Routledge. 2008.
5. Alexander Jeffrey C., „Cultural Trauma. A Social theory“, Polity Press, Cambridge. 2012.
6. Assmann Aleida, „Canon and Archive“. A Companion to Cultural Memory Studies. Astrid Erll, Ansgar Nunning (Eds.), De Gruyter, 2010.
7. Carrier Peter, „Contemporary Memory Cultures in Europe: Monumental Forms, Cultural Codes, Analytical Concepts“, Monuments and National Memory Culturesin France and Germanysince 1989.
8. The 'Vél' d'Hiv' in Parisand the 'Holocaust Monument' in Berlin“, Inaugural-Dissertation. Free University Berlin, 2000.
9. Foner Eric, „Who Owns History?“ Hilland Wang, N.Y., 2002.
10. Halbwachs Maurice, „On Collective Memory“, University of Chicago Press. 1992.
11. Sztompka Piotr, „Cultural Trauma and Collective Identity“, University of California Press, 2004.
12. ZerubavelEviatar,„Collective Memory and Social Shapeof the Past. Time Maps“, University of Chicago Press, Chicago 2003.